ხელშეკრულება № 184
შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 20 დეკემბერი 2017 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი" (ს/კ 417874973) (შემდგომში – „შემსყიდველი"), მისი დირექტორის გია ისიანის სახით და მეორეს მხრივ, შპს „სპორტ სალერ ცენტრი" ს/კ 404421345 წარმოდგენილი მისი დირექტორის გიგლა კალანდაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"),ვხელმძღვანელობთ რა საქართველში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულენის საგანია: ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი" -ს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სპორტული ტანსაცმელის (CPV18412000), სპორტული ფეხსაცმლის (CPV18820000) და სპორტული ჩანთების (CPV18932000) შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია:

#	საქონლის დასახელება	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთ.ფასი	საქონლის ფასი	CPV კოდი
1	სპორტული ტანსაცმელი	2	100.00	200.00	18412000
2	სპორტული ზედა	1	47.00	47.00	18412000
3	სპორტული მაისური	2	17.00	34.00	18412000
4	სპორტული ზედა	1	75.00	75.00	18412000
5	სპორტული ზურგჩანთა	1	48.00	48.00	18932000
6	სპორტული ფეხსაცმელი	1	137.00	137.00	18820000
7	სპორტული ზედა	1	38.00	38.00	18412000
	სულ			579.00	

3.ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.3.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 579 (ხუთასსამოცდაცხრამეტი) ლარს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

41მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, მოახდინოს დროული მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით.

5.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი მარშალ გელოვანის გამზ.21.

5.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები ან საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7.ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3.ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. და 6.1. მუხლებში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდე 10 კალენდარულ დღეში.

7.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი.გურამიშვილის ქ.5.

8.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

–შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2.შემსყიდველი ვალდებულია:

–მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

–უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3.მიმწოდებელს უფლება აქვს:

–მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4.მიმწოდებელი ვალდებულია:

–მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

–დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;

9.3.ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულე.ბლობით;

9.4ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5ხელშეკრულებით გათვალ;ისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო .ღირებულების 0,02 %-ს ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2013 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით,
როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2.თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3.მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1.შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება.ხელშეკრულების ინსპექტირებას და საქონლის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი"-ს გუნდის ადმინისტრატორი თამაზ შუბითიძე. ინსპექტირების მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

14.2..შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;

14.3.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებულო ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის
მერიის ფეხბურთის კლუბი გორი"
მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5
ს/კ 417874973
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი TRESGE22

დირექტორი გ.ოსიანი

„მიმწოდებელი“

შპს „სპორტ სალერ ცენტრი"
მისამართი:ქ.თბილისი მარშალ გელოვანისგამზ.21
საბანკო რეკვიზიტები:სს თიბისი ბანკი
ბ/კ TBCBGE22
ანგ.№ GE27TB7903936080100003
ს/კ 404421345

დირექტორი: გ.კალანდაძე

ხელწერილი

ინტერესთა კომფლიქტის არ არსებობოს შესახებ

ქ.გორი 20 დეკემბერი 2017 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ 2017 წლის 20 დეკემბერს დადებული № 184 ხელშეკრულება შპს ,,სპორტ სალერ ცენტრთან" გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ა(ა)იპ ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის
ფეხბურთის კლუბი გორი"-ს
დირექტორი — გია ისიანი

გუნდის ადმინისტრატორი — თამაზ შუბითიძე

შესიდვების მენეჯერი — სვეტლანა ზაუტაშვილი